

„მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის #44 დადგენილების ცვლილების

### განმარტებითი ბარათი

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში **165,0 ათ.ლარით** გაიზარდა შემოსავლები, კერძოდ 135,0 ათ.ლარით „ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის“, 30,0 ათ.ლარით „საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი“.

შემცირდა ასიგნებები **105,0 ათ.ლარით**, კერძოდ:

**საქონელი და მომსახურება 10,0 ათ.ლარი** – სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების

მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

**სხვა ხარჯები 15,0 ათ.ლარი** – ზოგადი განათლების ხელშეწყობა;

**არაფინანსური აქტივების**

**ზრდა 50,0 ათ.ლარი** – სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების

მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

**30,0 ათ.ლარი** – წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

გაზრდილი შემოსულობები ასიგნებებში დაემატა:

**სხვა ხარჯები 100,0 ათ.ლარი** – რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა;

**არაფინანსური აქტივების**

**ზრდა 120,0 ათ.ლარი** – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია

და მოვლა შენახვა;

**20,0 ათ.ლარი** – გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

**30,0 ათ.ლარი** – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები;

**შიდა ცვლილება: 1,0 ათ.ლარი** – „სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა“ „სუბსიდიების“

მუხლიდან გადატანილი იქნა „არაფინანსური აქტივების

ზრდა“

მუხლში.

**20,0 ათ.ლარი** – სპორტული სკოლების „სუბსიდიების“ მუხლიდან

გადატანილი

იქნა „არაფინანსური აქტივების ზრდა“ მუხლში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის #980 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულებაში, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, შეტანილი ცვლილების თანახმად მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი განისაზღვრა **4037,7 ათ.ლარით**. გზების რეაბილიტაციაზე განსაზღვრული თანხა **შემცირდა 0,145 ათ.ლარით**, (ასიგნებებში „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ არაფინანსური აქტივების ზრდა“), წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული თანხა შემცირდა **124,0 ათ.ლარით**, (ასიგნებებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია „არაფინანსური აქტივების ზრდა“), შედეგად გრანტები მთლიანობაში **შემცირდა 124,1 ათ. ლარით**.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერიდან 2016 წელს უკან დაბრუნებული იქნა გამოუყენებელი თანხა – **5,1 ათ. ლარის** ოდენობით, ამ თანხით იგეგმება სოფელ კასუმლოში სასმელი წყლის მრიცხველების შექმნა და მონტაჟი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ნაშთის **103,1ათ. ლარის** განაწილებაში შევიდა ცვლილება და ბიუჯეტის №2 დანართი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ბიუჯეტის №1 დანართის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ე“ და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განისაზღვრა **23525.7 ათ.ლარით**, გადასახდელები განისაზღვრა **27908.8 ათ. ლარით**.